# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 745

დამატების № 133

კვირა, 11 დეკემბერი 1916 წ.




ქმრის საფლავზე.
ნახ. გუდიაშვილისა.

## მთვარის შუქზე

ორ მთას შუა, ვიწრო გზატკეცილზე ურემი წყნარად მიჭრაილებდა. მთის კალთებში დროგამოშვებით მეურმის ნაღვლიანი ღიღინი ქვითინივით იფანტებოდა.

იგი ურმის კოფოზე წელში ღრმად მოხრილი წამომჯდარიყო, ურემში მჯდომ დედაკაცისთვის თვალი წუთით აერიდებინა და რაღაზედაც ჩაფიქრებული წყვდიადით მოცულ მთა-გრეხილს შესჩერებოდა.

მძიმე და რაღაც გამოუთქმელი სევდა მეურმეს თვალებში ნათლად გამოსჭვივოდა, შუბლზე გაწოლილი ნაოჭები კი მის მოქანცულობას და მოღლილობას მოწმობდნენ.

— ძალლია, ძალლი ჩვენი დაუნდობელი წუთისოფელი...

— წარა-მარა ბუტბუტებდა იგი და იმავ დროს სახე დაღარული ურემში მჯდომ, მეურმეზე უარესად მოხრილ და შავი შალით თავ მობურულ დედაკაცს გადახედავდა.

— ეხ, ნეტა ერთი ი ქალაქს მშვიდობიანად ჩავიყვანო, რომ ეს უბედურის შვილი არ გამიგიჟდეს და ამ ხევ-ხუვში არ ჩამეჩეხოს... და. . მერე რაც ღვთის ნებაა—დეე ის მოუვიდეს!..

ზოგჯერ რაღაც შიშით გაიფიქრებდა იგი და ხელახლად ისევ გადახედავდა. დედაკაცი კი ბევრი ქვითინისა და თავში ცემის შემდეგ უცებ გაჩუმებული და რამდენიმე საათი თავ-ჩაღუნული და დამუნჯებული მეურმეს არავითარ კითხვაზე ხმას არა სცემდა. ან რა თქვა, როდესაც გულში დაგუბებულ სევდა-ნაღველის გამო იმის ენა ერთსა და იმავეს მეტყველებდა.



ქ უ რ თ ი.
ნახ. მუსაევისა.

სხვა რომ სხვას ეუბნეოდა—ის მუდამ თავის ცეცხლზე ლაპარაკობდა და თავის შვილის ამბავს მოუყვებოდა.

სიდა მთელი ერთი წელიწადი თავს ებრძოდა, გულს იმაგრებდა; თან მუდამ საღამოს, ყინვა იყო თუ ნიაღვარი ერთი სოფლიდან მეორე სოფელში მამასახლისთან გადიჭრებოდა და შვილის წერილს კითხულობდა. წერილი კი არსადა სჩანდა..

დედაკაცი უცხო სოფლიდან ცივად და უსიტყვოდ გამოტრიალდებოდა, მაგრამ გამოვიდოდა თუ არა შუა მინდორში, თავ-პირში მედგრად წაიშენდა და საზარელი ხმით გაიძახოდა:

— დადეგ, დადეგ, შე სამიწე ჩემო გულო, რას შემომკვნესირა გინდა ჩემგან?!.. ოი... უწინ იმის დედას დამიწებია ყურები, რომ სიდამ თავის გიოზე ცუდი არა გაიგონოს-რა!.. უწინ შენს დედას გაეთხაროს შავი სამარე, ჩემო შვილო, ჩემო ტკბილო!!.. მწარედ მოსთქვამდა ტრიალ მინდორში სიდა და წინასწარ გრძნობას გულშივე ცემით იკლავდა.

დრო გადიოდა. სიდას სიმწარე დღითი-დღე ემატებოდა; შვილის ამბავის გაუგებრობა გულში ცეცხლად უღვიოდა და აკი ბოლოს მწუხარებამ კიდეც აჯობა: მთელი დღეები და ბევრჯელ კი შუაღამისას ძალ გაფრთხობილილი, თვალებ გადიდებული გარედ გამორბოდა და ვენახსა და კარმიდამოზე გამალებული რაღასაც დაეძებდა. ხან გაფაცაცებით მაღალ ბალახს აშრიალებდა, ხან წყლის პირზე ქვიშას ჰქექდა, ხან კი ბარით მიწას სთხრიდა და განუწყვეტლივ რაღასაც დაეძებდა.

ზოგჯერ კი ძლიერ მოქანცული, თითქო გონს მოდიოდა, ვენახის თავში მოჩუხჩუხე რუს პირად მიჯდებოდა და დასაკლავი მოზვერივით უხმოდ, უსიტყოდ ღმუოდა. შემდეგ გულ მოოხებული მეზობელთან მივიდოდა და ევედრებოდა:

— რა ვქნა, ვანე, ჩემი სამიწე გული რაღასაც მწარედ შემომკვნესის და აგრემც ღმერთი დიდ დღეს მოგცემს, წამიყვანე ვანე, ქალაქს, ჩემო ვანო, წამიყვანე და ი ჩემი შვილის ძვლებს მაინც ნუ დამაკარგვინებ... იქ მეტყვიან, გზას მასწავლიან... ვანე!! აგრემც ღმერთი ყოველ განსაცდელს აგაშორებს, ამ ცეცხლიდან დამიხსენი, ჩემო ჯანე!!..

მეზობლები ბარემ ბევრსა სცდილობდნენ ჯავრით ატაცებული დედაკაცი როგორმე დაეშოშმინებინათ და ნუგეში ეცათ, მაგრამ დიდხანს მის ტანჯვას ვეღარ უყურეს; თუმცა თითონაც არა იცოდნენ რა, მაგრამ მაინც ერთ დღეს ურემი შეუბეს და ქალაქს გაისტუმრეს.

ქალაქამდინ დიდი გზა იყო. ბინდ-ბუნდისას ურემი ტყიდან გამოვიდა და მაღალ, სულგანაბულ მთებ შორის ხევის პირად მთამედ გაჭრიალდა. მთვარე ის იყო ამოდიოდა... მისი პირველი სხივები იქვე, პირდაპირ მაღალ მთაზე ძველი ნაშთისთვის შეენათებინა და იქაურობა თვალ-წარმტაც სილამაზედ გარდაექცია. ციცაბო კლდეზე გადმომდგარ ნაშთს მოხუცი მუხა გვერდით ამოსდგომოდა და ხავსით მოსილ მის კედლებს, როგორც მშობელი ისე გადაჰფარებოდა.

ირგვლივ სიწყნარე სუფევდა, მხოლოდ მუხა, თითქოს რაღასაც მეტყველებსო, დაუწყნარებლივ დუღდა და მთვარის შუქზე ნაღვლიანად შტოებს აქნევდა. ციხეს გარშემო თლილი კლდეები ისე შემოჰფანტოდნენ, თითქოს მლოცველნი მუხლ-მოდრეკით რაღასაც ევედრებიანო. ხან შორიდან ღამის ფრინველი სადმე ობლად დაიკივლებდა და ტყე-ღრეში მის გამოძახილს მუხის შრიალი ისევ აქრობდა.

ციხის დანახვაზე მეურმემ ვეღარ მოითმინა და სულგანაბულ სიდას გასამხნევებლად მიმართა!

— აქ შეხედე, სიდა!.. ახლა მგონი მალე მივალთ, ნუ გეფიქრება... აბა შეხედე, აი ეს არის თამარ მეფის ციხე.. ეს ის ციხეა, ღვთისმშობლობას რომ მესტვირე ლექსით იხსენიებდა... შეხედე, შეხედე! მისი ლოდები რა გულსაკლავად იცქირებიან! აბა, შე საწყალო შენ რომ ეგრე თავს იკლავ და მთელ სოფელს ცოდვით ავსებ, ნეტა რა გმართებს?!.. ჩვენი ძველი ცხოვრება მარტო ომი და ვაივაგლახი ყოფილა!.. აბა შეხედე, არწივივით რომ წამომდგარა... თამარ მეფის დროს კი არა ყოფილა დიდი ამბები?!! მხოლოდ ეს არის, რომ მაშინ ხალხი ომში როგორც დღეობაში ისე მიდიოდა თურმე აი დედასა! რა დღე უდგა მაშინ ჩვენ საქართველოსა... შენისთანა ქვრივ-ოხერს, ის სულ ნათელი თამარ მეფის ფეხით თურმე ინახულებდა და როგორც მშობელი ყველა საწყალს ისე ანუგეშებდა.. ასე ამბობენ, რომ ეხლაც წელიწადში ერთხელ, როცა ქვეყანას თურმე ჩაეძინება, სხივ-მოსილი დედოფალი საფლავიდან ადგება თურმე ჯერ ამ ადგილას ილოცებს, ცრემლებს აფრქვევს და შემდეგ ქვეყანას ჯვარითა ლოცავსო...

გახედე აქა, ემანდ ციხის გამოქვაბულში ადამიანთა ძვლების ხროვაა დაყენებული და თამარის სხივი იმათ ძვლებს რომ მოეფინება ისინიც თურმე წამოდგებიან და მეფესთან ერთად განთიადამდინ გალობენო. ამბობენ, რომ ეს რაღასაც მოასწავებსო, მაგრამ ეჰ, ვინ რა იცის ე ჩვენ უბედურ თავს რა იქნება!.

მეურმეს ეგონა, რომ გაგონილ ამბით სიდას გულს ცოტა ხნით მაინც გაურთობდა, მაგრამ აქ-მოვდე დამუნჯებულმა დედაკაცმა ძვლების გახსენებაზე ხელ-წაკრულივით უცებ ზეზე წამოიწია და გადიდებული თვალებით ციხეს დაუწყო ყურება, შემდეგ ურემზე წამოიჩოქა, ცალი ხელი ქვლას მოჰკიდა, ცალი შუბლზე მთვარის



† ემილ ვერჰარნი
გამოჩენილი ბელგიელი პოეტი.

... ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩ. სტამბა „ქართლი". რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.



მოძღვარი

ნახ. გუდიაშვილისა.

შუქს ჩამოაფარა და თეთრად გამომაცქერალ თლილ კლდეებს მ აშტერდა. თან საზარელი ხმით ჩაეკითხა!

— რაო, რა სთქვი? ეს იმათი ძვლები არიან?! აქ გაიგმირნენ არა, დედის ერთების გულები? ჩემი შვილივით: ვერც იმაი. იხილავდნენ, არა ბიჭო, დედის თვალები?!

ოი, ოი, ოი! დაუმიწდეს სიდას ორთავ თვალები!.. განა იმის ძვლებიც კი სხვაგან უნდა დამეკარგოს?!.. არა, არა, ვანე! მიშველე, ამომგლიჯე გულიდან ეს ცეცხლი!.. ქრისტიანო, ვიწვი, გამოუთქმელი ცეცხლით ვიდაგვი და ველარ გავთავებულვარ!..

სიდა ახლა კი თავდაუჭერელ მღელვარებას აეტანა. ის ჯერ მეურმეს ეჯაჯგურებოდა, შემდეგ თითქოს რაღაცა დაინახაო, ურმიდან უეცრად ტყვიასავით ძირს გადმოეშვა, ხევის პირად ბუჩქს სასოებით დაუჩოქა და გულსაკლავი ხმით დაიღრიალა!

— სად მიგყევარ, შე უბედურო! განა არ ვიცი... ვიცი!.. ეს გული მითქვამს, რომ ჩემი გიო ცოცხალი არ არის... იქ, დედა მოუკვდეს, უცხოებთან, უცხო ადგილას ძვლები ჩაყარა... ვანე, შენი ჭირიმე, ვანე! განა არ ვიცი, რომ შენც მატყუებ; მთელმა სოფელმა იცის ჩემი უბედურება... და მე კი არას მეუბნევიან... მაგრამ მე კი არ მინდა, რომ იმის წმინდა ძვლებს უცხო ქარი დაჰბლუოდეს, მე არ მინდა რომ მის უმწიკვლო ძვლებს უცხო მიწა ეფარებოდეს..· არ მინდა, არა! ამ ცეცხლს ვერ გაუძლებ, ძვლებს მაინც სადმე ვიპოვნი; აი, აქ მოვიტან, აქ დავმარხავ, დედა-ენაცვალოს, ეგებ ისიც თამარ მეფის სხივმა ანუგეშოს; ეგებ იმას, ჩემ ტანჯულ შვილს, თამარ მეფემ პირჯვარი გადასწეროს... ჩემს გიოს, ჩემს სულის დგმას, ჩემს ლამაზ შვილს!..

უი, მიწისაგან გამოსახვრელი ჩემი ენა!.. არა, შვილო, შენ როგორ გაგიმეტებს დედაშენი სასიკვდილოდ... რეებს ვამბობ მე უბედური, რა დამემართა?..

უკანასკნელ სიტყვებთან ერთად სიდა უცებ თითქოს დაწყნარდა, იქვე ბუჩქს ნაზად ხელი შემოჰხვია და ოდნავ, წყნარად განაგრძო!

— უი, გენაცვალე, ჩემო შვილო, თავშემოგევლე... ნეტა სად იყავ ბიჭო, აქამდინა?! რომ შენი ძებნით ასე დამტანჯე?.. შენ ნორჩ ქოჩორს ვენაცვალე, გაათავე ბიჭო, სამკალი?!.. ტეტიკას უთხარ აქ, ჩემ კარმიდამოზე ფეხი აღარ მოაკაროს, თორემ ფეხებ შემოვანტვრევ... მე შენ აღარსად გაგიშვებ, ახლა სულ შენს გვერდით ვიქნები და ცოცხალი თავით აღარავის არ დაგანებებ, ჩემო შვილო. შენ კი შემოგევლოს დედიშენის თვალები...

სიდა ამ სიტყვებთან ერთად ბუჩქს მეტად ნაზად ეხვეოდა, მის ცივ ფოთლებს თონესავით გახურებულ შუბლს აყრდნობდა და თან ხელს ისე ნაზად უსვამდა, თითქოს კალთაში მწოლარე შვილს ქოჩორს ფრთხილად უვარცხნიდა და უალერსებდა. ცოტა მოშორებით ვანე მთვარის შუქზე ქანდაკებასავით უძრაოდ, ქუდ-მოხდით თავ დასდგომოდა და ამღელვებული ხმის გაცემასაც კი ვერა ბედავდა.

შემდეგ, როცა სიდამ თავიდან შალი მოიხსნა და ბუჩქს ნაზი ჩურჩული მიაფარა, ვანემ ველარ შეუძლო, მოცელილივით იქვე დაემხო და შეჰღაღადა!

— ღმერთო და თამარის წმინდა ტაძარო! შენ მოგვხედე, ჩვენ საწყალ ხალხსა... იქ შვილები გვეღუპებიან და აქ კი მშობლები ჭკუას სცდებიან!!..

ახლა კი ჩუმად, გულ-ამოსკვნილი და შეძრწუნებული თამარის ციხის წინ ევედრებოდა და თვალთაგან გადმოსკდარ ცრემლებს ჩოხის კალთით მძიმედ იწმენდდა.

ცქვიტი.

# ამხანაგი

(სტუდენტობის ცხოვრებიდან).

ეს სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც ლელო მოწყენილი იჯდა თავის პაწია ოთახში და გატაცებით უგდებდა ყურს პიანინოს აკორდებს, რომლებიც დახურულ ფანჯარიდან ისმოდა. წინ წიგნი ედვა გადაშლილი რომლის სტრიქონებზე, იქ, სადაც შეეწყვიტა კითხვა, საჩვენებელი თითი შერჩენოდა. დილიდან დაწყებული იგი არ მოჰშორებია თავის ოთახს, რომელიც თავისი მწირი მოწყობილობით საკანს უფრო ემგზავსებოდა, ვიდრე სტუდენტის ბინას; ერთად-ერთი ფანჯარა, რომელიც ტალახიან ეზოსკენ იყურებოდა, ვერ ანათებდა ოთახს საკმარისად და უფრო უმატებდა ოთახს ნაღვლიანობა, ხოლო იგი ლელოსაც ედებოდა. იგი გამოცდისთვის ემზადებოდა, მაგ-



პოდ. გრიგოლ მასხარაშვილი
(დაჭრილია).



გიორგი ვაჰვახიშვილი
(მოკლულია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ წიგნისთვის გული ვერ დაედვა. იგი ამდენ რამეს გრძნობდა! სწორედ ეხლა მოაგონდა საქართველო, დაშორებული სამშობლო მხარე, საყვარელი ქვეყანა, დედ-მამა, და ამხანაგები... სწორედ ეხლა დაიწყო ნავარდი მისმა ოცნებამ, ეხლა აემღვრა სისხლი!

— ისმინეთ!.. დადგა დრო, როდესაც ჩვენ ჩვენი უნდა მოვითხოვოთ... მიმოიხედეთ!.. საყვარელნო... ამბობდა ლელო და თავისი თავი მთლად გათეთრებულ, ტკბილ მოხუცად წარმოედგინა, რომელსაც მთელი ერი და ყოველ მის სიტყვის ასრულებასა სცდილობს. არა, იგი ბერი უნდა იყოს, როგორიც ხევში იცინიან! მხოლოდ ის—ხევის ბერია ეს კი—საქართველოს ბერი, მისი ქუჩუჩი, მოჭირნახულე და მოტრფიალე. მას სახელის მოხვეჭა კი არ უნდოდა არამედ დიდად სასარგებლო საქმის გაკეთება სურდა, იგი ილტვოდა მალამოდ მოსცხობოდა სამშობლოს იარას, მისთვის სიკვდილი და წამება სურდა!

და ოცნებობდა იგი ტკბილად, გატაცებით ხოლო მის ოცნებას სარბიელს უშლიდა მუსიკის ჰანგები, თრთოლა, ჯგუფ-ჯგუფად რომ იჭრებოდნენ ოთახში და უფრო აშორებდნენ საქმეს. იჯდა ასე ლელო დაფიქრებული, გატაცებული სულის ცხოვრებით; თავი მაღლა აელო, თითქოს შუბლი შეეშვირა მუსიკის ტალღებისთვის, ფეხები გაეჭიმა. მას გული აჰყუჩებოდა, გონება ანთებოდა, სული ასჯანყებოდა.

ხოლო წიგნი იდო გადაშლილი ერთს ადგილს და ნაღვლიანად შესცქეროდა ლელოს გაშტერებულ თვალებს, თითქოს ეხვეწება ჩქარა წამიკითხე, გამანთავისუფლეო...

— დედა ჩემო... ნუ სტირი... ნუ სტირი, დედა ჩემო... შენ ხომ სამშობლოსთვის ალმზარდე, ჩემი ქვეყნისთვის... შევეწირები, მისი ვარ, დედა ჩემო, სულითაც და ხორცითაც... იძახდა გულში ლელო, თვალებში ცრემლი მოერია, ტუჩები ოდნავ აუთამაშდა; იგი ემშვიდობებოდა თავის სათნო, კეთილ დედას, რომ სამშობლოსთვის, მის დასაცავად შეეწირა თავი.

— ჩემო... ნუ სტირი... შენ უნდა გიხაროდეს რომ შენს რაინდს ასეთი ბედნიერება ეწვია... მიუბრუნდა ლელო თავის სატრფოს, რომელიც დედის უკან მდგომად წარმოედგინა და საშინლად მტირალი...

— მამა ჩემო!.. უთხრა მამას, მაგრამ ველარ დაათავა ლელომ ბოლომდის გამომშვიდება, რად ვიღაცამ კარები დააკაკუნა.

— Можно?.. გაისმა წკრიალა, მხიარული ხმა და ვიდრე შესვლის ნებართვა გაისმოდა—კარები გაიღო.

ლელომ ერთი კი გაიკრა ხალათს ხელი და საყელოს ღილი შეიბნია, თმაზე ხელი გადისვა.

— ააა... здравствуйте, ტოსია... მიეგება ლელო, ხელი ჩამოართვა. რაღაც სითბომ დაუარა ტანში, ტოსიას თეთრი, ბუნჩულა ხელი რომ შეეხო.

ტოსია რუსის ქალი იყო, სტუდენტი; იგი სრული იყო, გაფუებული, მის ფუნთუშა სახეს, დარგვალებულს და კრიალას რაღაც სინაზე დაჰკრთოდა, ვით ახალგაზრდა, დეკეულ ირემს, რაც მას მხოლოდ ეშხს და ფეროვნებას ჰმატებდა.

— სხვა?.. დაეკითხა ტოსია რუსულად (მან ქართული არ იცოდა),—როგორ თქვენი ეგზამენები, ამხანაგო?.. და ჩაიხედა გადაშლილ წიგნში.

— ეხ... ღირს კი მაგაზე ლაპარაკი?.. სთქვა ნაღვლიანად ლელომ,—გამიწყალეს გული... მოთმინებიდან გამოვედი სწორედ... დასწყევლოს ღმერთმა სწორედ მაშინ, როცა მეცადინეობა მესაჭიროება, ჩვენები, ჩემი მხარე მომაგონდება ხოლმე...

— ამხანაგო... ძალიან გიხდება კი დაღვრემილება, მაგრამ მაინც ცოტა უნდა იფიქრო და ბევრი იმუშაო.

— საქმეც იმაშია, რომ ვერა ვძლევ ჩემ ოხერ თავს...

— ალბად არ ებრძვი... ან არცა გსურს... არც გიფიქრია...

— არა... მე ვფიქრობდი მაგრამ გრძნობა გონებისთვის ვერ დამიმორჩილებია.. წარმოიდგინე, ამხანაგო, ასეთი რამ... მე არ ვიცი ქართული ენის კილო კავები და ბულგარულსა ვწავლობ... მე ბერძნულს მაჩეჩებენ ხელში... მე ამ წუთს მთლად ვიგრძენი ჩვენი უბედურება... მე რომ შიშველი ვიყო, მციოდეს, შენ კი მიამბობდე სად როგორ იცვამენ...

— ერიჰაა... ამხანაგო, შენ ძალიან გუნებაზედა ხარ დღესა... წამოიძახა ტოსიამ და თავისი მხიარული, მოკასკასე კილოთი აგრძნობინა, რომ მეტია ამ წუთს ასეთი სჯა-ბაასი.

— სად არის ის წიგნი?.. განაგრძო ტოსიამ,—მოიტა მე წავიკითხამ და შენ კი ყური მიგდე...

ტოსიამ წიგნი აიღო და წასაკითხად მოემზადა.

— რას ამბობთ, ტოსია... წამოიჭრა ნაწყენი ლელო,—მე... ნუთუ თქვენა გგონიათ რომ ასეთი სუსტიცა ვარ?.. მერწმუნეთ, როცა გამიჭირდება ერთს დღეს ათს მაგისთანა წიგნს გავივლი... გარწმუნებთ, ტოსია... ლელო უკვე გამოერკვია ფიქრებიდან, იგრძნო თავისი თავი უხერხულს მდგომარეობაში, სცადა საქმის გამოსწორება და წიგნს წაეპოტინა.

— არ იქნება!.. დამაცადეთ!.. ნუ მაწყენინებთ!.. წამოიძახა გადაჭრით ტოსიამ და მიახვედრა ლელო რომ ხვეწნა და რწმუნება მხოლოდ დროს დაკარგვა იქნებოდა.

— აბა... აქ დაჯექით ამხანაგო... მე კი... ასე მოვიკეცამ და... ლელო სკამზე დასვა, თითონაც მოუჯდა მაგიდას, ქუდი და პალტო რომ მოიშორა, და დაიწყო.

— ღმერთმანი, ტოსია... კიდევ შეეცადა ლელო თავიდან მოეშორებინა ასეთი „არა საკადრისი მოვლენა.

— სუ!.. სსს... რა დროს ლაპარაკია!.. გააწყვეტინა ტოსიამ, სერიოზული სახე მიიღო და განაგრძო ხმა-მაღლა და დინჯად

— გარწმუნებთ, ტოსია... გარწმუ... დაიწყო ლელომ.

— სსს... ნუ მაწყვეტინებთ... ყური უგდეთ, ჩემთვის ხომ არა ვკითხულობ?..

სხვა გზა არ იყო, უნდა დასთანხმებოდა.

ლელო დაჩუმდა, დანებდა, მაგრამ მისი ფიქრები სულ სხვა საგანს მიესივნენ, როგორც თევზები პურის მარცვალს.

წკრიალა, ტკბილი ხმა ტოსიასი რაღაცნაირად სისხლს უმღვრევდა, აღელვებდა ლელოს; დაწყევლილი მუსიკის ჰანგები რომ მთლად სთანგავდნენ მის გონება-გრძნობას; მძიმე სევდა, ლოდივით რომ აწვა გულზე, თითქოს შორდებოდა ლეოს და მის ნაცვლად რაღაც ტკბილს, გამთბარს გრძნობას ეზიარებოდა იგი. იგი იჯდა ქალის პირდაპირ და შესცქეროდა მის წმინდა ჰიაფერ ტუჩებს, ასე ლამაზად რომ ცეკვავდნენ წიგნის კითხვაში; ქერა თმას, ასე მხატვრულად რომ საზღვრავდნენ შუბლს; და ქერა, მაგრამ ხშირს წარბ-წამწამებს არმიებსავით რომ მოვლებოდნენ დახრილს თვალებს ლელოს მოეწონა ტოსიას ასეთი საქციელი, რაღაც სიახლოვე იგრძნო ამ ქალისა თავის სულთან, რაღაც ნათესაური, თავისიანობის გრძნობა აღეძრა... იგი შესცქეროდა ქალს და გული უფრო უყუჩდებოდა, უფრო უთბებოდა, ენთებოდა...

— ამხანაგო, მე რას მომჩერებიხარ!.. მიუბრუნდა ტოსია ლელოს, თითქოს იგრძნო რომ მისკენ იყო მიმართული ვაჟის ანთებული თვალები,—ყური მიგდე... გონება აამუშავე...

— ტოსია... სთქვა ჩურჩულით სისხლ ამღვრეულმა ლელომ,—ტოსია... მხოლოდ მეტი ვერა მოახერხა-რა, ხელი დაუჭირა ტოსიას, რომელიც კალთაში ედო და დაეკონა თვალცრემლიანი.

— რა მოგდით, ლელო... კმარა, კმარა...

— ტოსია... ტოსია... ლუღლუღებდა გულამოსკვნით ლელო,—მიყვარხარ... მიყვარხარ... ტოსია... მიყ...ვარ...ხარ... და გალომებით ეამბორებოდა ფუნთუშა ხელს...

ტოსიას ჟუჟუნა თვალებიდან კი მომხო ცრემლები ჩხმოსრიალებდნენ ჰიაფერ ლაწვებზე...

ალე.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი". რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.